

**სნაპლა-სნაპლავის ფორმატისა და მეთოდების ფუნქციური აღწერა  
სალოქმორო პროგრამისათვის**

**მასაღინეოგის ფორმატის აღწერა**

*საღექციო ფორმატი - მეცადინეობა, სადაც კონკრეტული დისციპლინის ფარგლებში, ახალი ცოდნის ფორმირების მიზნით, ლექტორი ზეპირი ფორმით გადასცემს შემეცნებით ინფორმაციას წინასწარ განსაზღვრული ან სპონტანურად წარმოშობილი თემატიკის მიხედვით.*

*ღექციის ხარისხის შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:*

**შინაარსი**

- ინფორმაციის აქტუალობა დისციპლინის მიზნებისა და შედეგების კონტექსტსა და თანამედროვეობასთან მიმართებით
- საკითხის თემის ისტორია/გენეზისი (საჭიროების შემთხვევაში)
- კავშირი განვლილ და მომდევნო თემატიკას შორის
- ლექციის მეცნიერული და მსოფლმხედველობრივი საფუძვლები
- კავშირი პრაქტიკასთან - მაგალითები, ფაქტები (გარდა სპეციფიკური თემებისა)
- ახალი ტერმინების მიწოდება/ახსნა
- პროფესორის საკუთარი კონცეფციების, მიდგომების, დებულებების, დასკვნების ანალიზი არსებულის კონტექსტში

**მეთოდოლოგია**

- ლექციის სტრუქტურა და ლოგიკა – თანმიმდევრობა, მტკიცებულება, არგუმენტირება
- პროფესორის მეტყველების ემოციურობის ხარისხი და გაგებინების ეფექტიანობა
- აუდიტორიის ყურადღების მობილიზება/შენარჩუნება – პედაგოგიური და ორატორული ხერხების გამოყენება
- შემოქმედებითი კომუნიკაცია აუდიტორიასთან, სტუდენტთა შემეცნებითი აქტივობის უზრუნველყოფა
- თვალსაჩინოების და ტექნიკური საშუალებების გამოყენება
- ჯგუფის უზრუნველყოფა საღექციო ნაბეჭდი მასალით
- ლექციის გაგების ხარისხის შემოწმება
- ლიტერატურის/წყაროების მრავალმხრივობა და მითითება
- დავალების მიცემა

**საღექციო ფორმატით განსაზღვრული  
სწავლა-სწავლების მეთოდები**

***ინტერაქტიური ლექცია*** - სტუდენტებთან აქტიური დიალოგის რეჟიმში ჩატარებული ლექცია.

***მეთოდი განავითარებს:***

- მეცნიერულ ცოდნას, რთული და არასრული ინფორმაციის აღქმისა და სინთეზის უნარს
- კრიტიკულ აზროვნებას

- სამეცნიერო ტერმინოლოგიური კლიშეებით გაჯერებული სამეტყველო ტექსტის აღქმისა და გააზრების უნარს
- ოპერატიულ აზროვნებას

**მეთოდი უზრუნველყოფს:**

- სტუდენტთა ყურადღების მაღალი კონცენტრაციის მიღწევას და შენარჩუნებას
- გადაცემული მასალის/ინფორმაციის გაგების ხარისხის ექსპრეს მონიტორინგს მეცადინეობის მოვლ პერიოდზე

**ლექცია პრეზენტაცია - ლექცია, რომელიც მიმდინარეობს ვიზუალური (მათ შორის ელექტრონული და მატერიალური) საშუალებების გამოყენებით.**

**მეთოდი განავითარებს:**

- მეცნიერულ ცოდნას, რთული და წინააღმდეგობრივი ინფორმაციის გაგების უნარს
- კრიტიკულ აზროვნებას
- კომუნიკაციის უნარს

**მეთოდი უზრუნველყოფს:**

- მაღალ მნემურ ეფექტს, რაც მიიღწევა ინფორმაციის გადაცემის აუდიო და ვიზუალური საშუალებების სინთეზური გამოყენებით

**რეკომენდაცია:** რეკომენდირებულია ინტერაქტიური და საპრეზენტაციო ლექციების კომბინაცია, რაც საგრძნობლად აამაღლებს სასწავლო ეფექტს

**მეცადინეობის ფორმების აღწერა**

**ბლოკ-სემინარი** – დოქტორანტურაში მიზანშეწონილია მეცადინეობების ჩატარება ბლოკ-სემინარის ფორმატით. იგი აკადემიური პროგრამის დამოუკიდებელი კომპონენტია. ბლოკ-სემინარის სასწავლო პროგრამა აგებულია თემატური ბლოკებით, რაც საშუალებას აძლევს დოქტორანტებს აირჩიონ თემები საკუთარი ინტერესის სფეროდან, მოისმინონ ლექცია, დამოუკიდებლად მოამზადონ რეფერატები და ჩაებან დისკუსიაში.

ბლოკ-სემინარის რეგლამენტი განსხვავებულია. ის გულისხმობს საკონტაქტო საათის ჩატარებას ინტენსიურად (დღეში 6-8 საათი), რის შემდეგაც, რამდენიმე კვირის განმავლობაში, საკონტაქტო მეცადინეობები წყდება. დროის ამ მონაკვეთს სტუდენტები იყენებენ დამოუკიდებელი მუშაობისათვის. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ საკონტაქტო მეცადინეობები კვლავ აღდგება ინტენსიური რეჟიმით, რომელიც გამოიყენება დამოუკიდებლად შესრულებული სამუშაოს განხილვის, დისკუსიის, ახალი თემების დამუშავებისა და/ან შეფასებისთვის, ასევე, ახალი ლექციების ჩასატარებლად.

ბლოკ-სემინარი შესაძლებელია მოიცავდეს, როგორც ერთი, ისე რამდენიმე თემის/პრობლემის დამუშავებას სხვადასხვა ასპექტით. ამდენად, მის მუშაობაში შესაძლებელია მონაწილეობდნენ სხვადასხვა დისციპლინის წამყვანი პროფესორები.

**დისკუსია** - მეცადინეობა, რომლის დროსაც სტუდენტები იხილავენ ლექტორის მიერ მიწოდებულ ან სტუდენტის მიერ წამოჭრილ პრობლემას, თემას, საკითხს, ან მოძიებულ სასწავლო/ინოვაციურ ინფორმაციას. მეცადინეობაზე შეიძლება შეიქმნას იმპროვიზირებული ჯგუფები, რომლებიც წარადგენენ ჯგუფურად შემუშავებულ არგუმენტებს.

**მეთოდი განავითარებს:**

- სამეცნიერო წრეში კომუნიკაციის უნარს
- კრიტიკული აზროვნების უნარს
- არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების უნარს
- პრობლემის გადაჭრის გზების ძიების უნარს
- ღირებულებების ახლებურად გააზრებისა და ოპერირების უნარს

### **მეცადინეობის ფორმატის აღწერა**

**სპეციალური ფორმატი** – გულისხმობს სწავლა-სწავლების და შეფასების განხორციელებას ელექტრონული პორტალის გამოყენებით. ფორმატი გამიზნულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის, რომლებისთვისაც სისტემატური დასწრება მეცადინეობებზე დაკავშირებულია ჯანმრთელობის პრობლემებთან.

**ფორმატი უზრუნველყოფს:**

- მეცნიერული ცოდნის განვითარებას
- იმ უნარ-ჩვევის განვითარებას, რომელიც დაგეგმილია სილაბუსით
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების ინტეგრაციას ერთიან აკადემიურ პროცესში

### **მეცადინეობის ფორმატის აღწერა**

**კონსულტაცია** – მცირერიცხოვან ჯგუფთან (1-5 სტუდენტი) ჩატარებული მუშაობა კონკრეტული საკითხების დამატებით ახსნის და/ან რთული დავალებების შესრულების მიზნით.

**მეთოდი უზრუნველყოფს:**

- მასალის სიღრმისეულად გაგება-გააზრებას
- იმ უნარ-ჩვევების განვითარებას, რომლის დეფიციტიც იგრძნობა კონკრეტულ შემთხვევაში
- სასწავლო მოტივაციის განვითარებას
- საკუთარ შესაძლებლობაში რწმენის განმტკიცებას

### **მეცადინეობის ფორმატის აღწერა**

**ქეისი** – მაგალითი/შემთხვევა პრაქტიკიდან, რომელიც დამახასიათებელი ან განსაკუთრებულია ამ თუ იმ კონკრეტული დარგისთვის.

**მეთოდი განავითარებს:**

- მეცნიერულ ცოდნას
- ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარს
- ლოგიკური აზროვნების უნარს

- პრობლემის მეცნიერულად გააზრებას და კრიტიკული ანალიზის უნარს
- დასკვნის გაკეთების უნარს

**ემპირიულ საგარჯიშოებზე მუშაობა - კონკრეტული საგარჯიშოების განხილვა და შესრულება დროის დათქმულ მონაკვეთში.**

**მეთოდი უზრუნველყოფს:**

- ცოდნის განმტკიცების და ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარის განვითარებას
- ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების უნარის ფორმირებას
- სამუშაო დროის მართვის უნარს
- შეზღუდული დროის პირობებში დასმული ამოცანის სიღმისეულად გააზრებისა და გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარს

### **დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატი**

**სამეცნიერო-კვლევითი პროექტი - არის წერითი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი, რომელიც სრულდება სტუდენტის მიერ პროფესორთან კონსულტაციით.**

**მეთოდი განავითარებს:**

- სტუდენტის მეცნიერულ ცოდნას ზოგადად და კონკრეტული დისციპლინის კონკრეტული თემის გარშემო
- პრობლემის მეცნიერული ხედვისა და მისი გადაჭრისათვის ორიგინალური გზების დასახვის უნარს
- ინფორმაციის სტრუქტურირების, არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების, ანალიზისა და სინთეზის უნარს
- სამეცნიერო-კვლევითი მიზნების, ამოცანების განსაზღვრის და კვლევისათვის ადეკვატური მეთოდების გამოყენების უნარს პროფესიულ საზოგადოებასთან წერითი და ვერბალური (აუდიტორიის წინაშე პრეზენტაციის შემთხვევაში) კომუნიკაციის უნარს
- სწავლისა და კვლევის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს აკადემიური და ეთიკური ღირებულებებით ოპერირების უნარს

**ესსე - ესსე არის თხზულების ერთ-ერთი სახე, რომელიც გადმოსცემს გავრცელებულ საერთო აზრს ან ავტორის (სტუდენტის) მოსაზრებას ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის, მოვლენის, ფაქტის, აზრის შესახებ.**

ესსესთვის დამახასიათებელია მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობა. მისი უპირატესობა თხზულების სხვა ფორმებთან ის არის, რომ ესსე შეიძლება დაიწეროს ერთი კონკრეტული საკითხის შესახებ (და არა გლობალური თემის). ესსე შეიძლება შეიცავდეს საორიენტაციო კითხვების/დავალებების პაკეტს.

არგუმენტირებული ესსე წარმოაჩენს ავტორის საკუთარ პოზიციას/ მოსაზრებას დასმული საკითხის გარშემო და, შესაბამისად, არგუმენტებს, რომელიც დაასაბუთებს წარმოდგენილი პოზიციის/მოსაზრების უპირატესობას.

ესსეს სტრუქტურა ძირითადად სამი ნაწილისგან შედგება:

შესავალი - უნდა გამოიკვეთოს მიზანი, განსახილველი საკითხები, თემის მნიშვნელობა/აქტუალობა/მოტივაცია.

ძირითადი ნაწილი - უნდა შეიცავდეს ავტორისეულ ანალიზს, საკუთარ პოზიციას, ლოგიკურ და არგუმენტირებულ მსჯელობას.

დასკვნა - აჯამებს, აკონკრეტებს ესეში მოცემულ მოსაზრებებს.

**მეთოდი განავითარებს:**

- წერითი კომუნიკაციის უნარს
- ფაქტის მოვლენის კომპაქტურად მიმოხილვისა და განმარტების უნარს
- არგუმენტების/კონტრარგუმენტების ჩამოყალიბების უნარს
- საკუთარი პოზიციის გამოკვეთისა და დასაბუთების უნარს
- დასკვნის გაკეთების უნარს

ინფორმაციის გაფილტვრა - არის პროექტის ნაირსახეობა, რომელიც შეიცავს კონკრეტული თემის ფარგლებში, სხვადასხვა საინფორმაციო წყაროდან შეგროვებულ ინფორმაციას. პროექტის მომზდებისთვის სტუდენტს ნაწილობრივ ან საერთოდ არ მიეთითება წყარო. იგი ვალდებულია თავად მოიძიოს, მოახდინოს მიღებული ინფორმაციის სელექცია/ ოპტიმიზაცია და სტრუქტურირება. ნაშრომი არ გულისხმობს ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზს, კომენტარს ან საკუთარი აზრის გადმოცემას - ის უნდა იყოს მხოლოდ სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის მიმოხილვა.

**მეთოდი განავითარებს:**

- სამეცნიერო საზოგადოებასთან წერითი კომუნიკაციის უნარს
- ინფორმაციის ანალიზისა და სტრუქტურირების უნარს
- მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გარჩევის უნარს
- სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს

სამეცნიერო სტატია - არის წერითი ნაშრომი სტატიის ფორმატით. ის შეიძლება დაიბეჭდოს ადგილობრივ ან საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით გამოცემებში, თუმცა, შფასებისთვის სავალდებულო არ არის მისი გამოქვეყნება. თემა შეიძლება პროფესორის მიერ იქნას მითითებული ან სტუდენტებმა თვითონ შეარჩიონ პრობლემატიკა. მეთოდი ემსახურება სტატიის წერის უნარის ფორმირებას.

**მეთოდი განავითარებს:**

- მეცნიერულ სითამამეს და პასუხიმგებლობას
- პრობლემის ხედვისა და მისი გადაჭრის გზების გაცნობიერების უნარს
- პრობლემის გადაჭრისათვის ორიგინალური გზების ძიების და პროფესიული ან არაპროფესიული საზოგადოებისთვის შეთავაზების/წარდგენის უნარს
- კვლევის შედეგებზე დაყრდნობით საკუთარი აზრის კომპაქტურად სტრუქტურირების და წერლობითი ფორმით გადაცემის უნარს
- არგუმენტებითა და კონტრარგუმენტებით ოპერირებისა და დასკვნის გაკეთების უნარს
- დარგის განვითარებისათვის მიდევნების უნარს

- აკადემიური პატიოსნებისა და პროფესიულ-ეთიკური ღირებულებების ახლებურად გააზრებისა და პრაქტიკაში დამკვიდრების უნარს

**რეფერატი** - არის სამეცნიერო ტიპის ნაშრომი, რომელსაც სტუდენტი წერს მითითებული ან მის მიერ შერჩეული და პროფესორთან შეთანხმებული თემის ფარგლებში.

განირჩევა ძირითადად ორი სახის რეფერატი - მიმოხილვითი და ანალიტიკური.

**მიმოხილვითი რეფერატი** გულისხმობს რამდენიმე წყაროს - წიგნის, სტატიის, სხვა სამეცნიერო ნაშრომის, მიმოხილვას ავტორისეული (სტუდენტის) კრიტიკული ანალიზის, კომენტარის ან საკუთარი პოზიციის კონსტატაციის გარეშე.

**ანალიტიკური რეფერატი** კი, სხვადასხვა წყაროს ანალიზთან ერთად, ითვალისწინებს რეფერირებადი თემის/წყაროს მეცნიერულ გააზრებას, კრიტიკულ ანალიზს, შეფასებას.

სადოქტორო პროგრამებში რეკომენდირებულია, ძირითადად, კვლევითი რეფერატის გამოყენება.

**რეფერატის სტრუქტურა სამი ნაწილისაგან შედგება:**

**შესავალი** - თემის აქტუალობის/მნიშვნელობის დასაბუთება, პრობლემატიკის ჩვენება.

**ძირითადი ნაწილი** - სხვადასხვა წყაროს ზოგადი ანალიზი, ავტორთა განსხვავებული მოსაზრებების მიმოხილვა. ანალიტიკური რეფერატის შემთხვევაში - ავტორისეული (სტუდენტის) მსჯელობა - პრობლემის შეფასება, საკუთარი არგუმენტებისა და დებულებების წარმოდგენა.

**დასკვნა** - გულისხმობს საერთო დასკვნას რეფერირებადი თემის გარშემო.

**მეთოდი განავითარებს:**

- აკადემიურ ცოდნას
- მეცნიერული სტილით წერის და პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარს აკადემიური პატიოსნების პრინციპების დაცვით
- სხვადასხვა ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრების აღქმის/ გაგების, შეპირისპირებისა და მთლიან ტექსტად ფორმირების უნარს.
- სწავლისა და კვლევის დამოუკიდებლად წარმართის უნარს

**ანალიტიკური რეფერატის შემთხვევაში:**

- პრობლემის მეცნიერული ხედვისა და გადაწყვეტისთვის ორიგინალური გზების განსაზღვრის უნარს
- ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარს
- არგუმენტირებული მსჯელობის, შეფასებისა და დასკვნის გაკეთების უნარს

**სამეცნიერო თეზისი** - მოკლე წერილობითი ანგარიში სტუდენტის მიერ განხორციელებული კვლევისა, რომლითაც გადმოცემულია კვლევის შედეგები, ძირითადი დებულებები, მიდგომები.

**მეთოდი განავითარებს:**

- სამეცნიერო კვლევის უნარს

- კელევის შედეგების კომპაქტურად სტრუქტურირების უნარს
- ლოგიკური, არგუმენტირებული მსჯელობისა და დასკვნის გაკეთების უნარს
- მეცნიერული სტილით წერის და სამეცნიერო საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარს აკადემიური პატიოსნების პრინციპების დაცვით